

ტექნიკური დავალება

ღონისძიება №1: სახალხო დღესასწაულის „მაჭახლობა“ ორგანიზება

- 1.1 „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის მოსაწვევი - 80 ცალი, ფერადი, 10/21სმ ფორმატი, კონვერტით (ტექსტი მოწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ);
- 1.2 „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის საინფორმაციო პოსტერის მომზადება და მოწოდება - ინტერნეტ სივრცეში განთავსებისათვის საინფორმაციო პოსტერის მომზადება და ელექტრონულად მოწოდება. ინფორმაცია მოწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ;
- 1.3 სცენის მონტაჟი და დემონტაჟი - სცენა უნდა დაიდგას სოფ.სინდიეთში, შემდგომ მოხდეს დემონტაჟი და დასაწყობება. (ღონისძიება გაიმართება 1 დღე);
- 1.4 „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის სარეკლამო კამპანია - 5 დღე, ღონისძიების facebook რეკლამა 5 დღის განმავლობაში (წვდომა არანაკლებ 20 000 მომხმარებელი) სარეკლამო პოსტერების დიზაინი, ტექსტი შემსყიდველთან შეთანხმებით;
- 1.5 სახალხო ზეიმზე მიმდებარე ტერიტორიისათვის საჭირო მასალა: 1. ხმელი თივა 30 ფუთი; 2. ნაჭერი: მწვანე 15მ/1მ, თეთრი 15/1მ -2ცალი, წითელი 15/1მ; 3. არაკალი ფერადი არანაკლებ 50მ (იხ.ფოტო); 4. მინი საინფორმაციო წარწერა 40/50სმ (იხ.ფოტო), 5. ღონისძიების ტერიტორიასთან მისვლამდე დეკორაცია: ჩალა, ბოძი და წარწერა (იხ.ფოტო); 6. რკინა 6 ცალი სამ მეტრიანი 3/3-ზე. 7. სცენის ფერვერკი 1 შვეკრა, რომელიც უნდა განთავსდეს მიმდებარე ტერიტორიაზე.



3. არაკალი



4.



5.

- 1.6 ანსამბლებისა და დეკორაციისათვის სატრანსპორტო მომსახურება - 7 ტრანსპორტი, მოთხოვნილი იქნება სამგზავრო და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები. მოთხოვნილი ტრანსპორტი უნდა შესრულებს ერთ დღეზე. ხელვაჩაურის ტერიტორიაზე;
- 1.7 სატვირთო ტრანსპორტო მომსახურება მუშა ხელით - 4 ტრანსპორტი, უნდა განხორციელდეს: 1. სოფ.ჩიქუნეთიდან სოფ.სინდიეთში მაგიდა სკამებით ჩამოტანა და უკან დაბრუნება; 2. სოფ.ზედა ჩხუტუნეთიდან პალეტებისა და ორღობეების ჩამოტანა და უკან დაბრუნება; 3. სოფ.ქედქედიდან სოფ.სინდიეთში საბავშვო სკამებისა და მაგიდები (3 მაგიდა 15 სკამი) მიტანა და უკან დაბრუნება. 4. სოფ. თხილნარიდან - სოფ. სინდიეთში დეკორაციის მასალების ტრანსპორტირება და უკან დაბრუნება;

- 1.8 „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის საინფორმაციო კუთხის მოწყობა, საინფორმაციო კუთხე მოიცავს რკინის კონსტრუქციას, წარწერას და ხმელი სიმინდის დეკორაციით გაფორმებას. იხ.ფოტო;
- 1.9 „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის დეკორაციის მომზადება მოწოდება, მონტაჟი და დემონტაჟი, თეატრალური დეკორაციით, ბუტაფორია. იხ.დეკორაციის დიზაინი, ფოტო.



- 1.10 „საპატიო მაჭახლელი 2019“ და მადლობის სიგელის დამზადება და მოწოდება - 4 ცალი, სიგელის ზომა 16/21სმ. ჩარჩოს მასალა ნაწილობრივ ბამბუკით დამზადებული. *ტექსტი მოწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ;
- 1.11 „საპატიო მაჭახლელი 2019“ დაჯილდოება წიგნის მაღაზიის 100 ლარიანი ვაუჩერი - 1 ცალი, ვაუჩერიუნდა განაღდდეს ბათუმში მდებარე წიგნისა და საკანცელარიო საქონლის მაღაზიაში. მოქმედების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრამდე;
- 1.12 აჭარული ქამარი წარწერით „მაჭახლობა 2019“ – 7 ცალი, აჭარული ქამარი, წარწერა ამოქარგული ასოებით „მაჭახლობა 2019“;
- 1.13 მაჭახელას მოსახლეობის დასწრებისა და საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად საწვავის მოწოდება - 140 ლიტრი, საწვავის სახე: დიზელი 70 და ევრორეგულარი 70 ლიტრი;
- 1.14 ღონისძიების მსვლელობისას მუშა ხელით უზრუნველყოფა - 1 დღე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუშა ხელით დახმარება: თივის, პალეტების, მაგიდების, სკამების, არაკალების, რკინის ბოძების და ღონისძიებისათვის საჭირო საკითხებში არანაკლებ 2 ადამიანი;
- 1.15 სახალხო დღესასწაულ „მაჭახლობაზე“ მოწვეული სტუმრების ვახშამი - 1 დღე, მენიუს ჩამონათვალი 30 კაცზე: იმერული ხაჭაპური, ოსტრი, ხაშლამა, ჩქმერული, სოკო კეცში, ქაბაბი, თევზი, ოჯახური, სალათა 2 სახეობის, მწვადი, პური, მჭადი, ხილის ასორტი,საწებელი, წვენი, წყალი, ალკოჰოლური დასალევი. დარბაზში უნდა იყოს შესაბამისი მომსახურება, უნდა მდებარეობდეს მაჭახელას ხეობაში.
- 1.16 სახალხო დღესასწაულ „მაჭახლობაზე“ ტრადიციული სუფრის, კუთხის მოწყობა - 1დღე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახალხო ზეიმზე ტრადიციული კერძების წარმოჩენა და ადგილზე მომზადების პროცესი. ასევე დამხმარე პერსონალი (3 კაცი), რომელიც უზრუნველყოფს სუფრის ორგანიზებას, მომსახურებას და ალაგებას. ტერიტორიის ნაგვის ურნებით და პოლიეთილენის პარკებით უზრუნველყოფა. ჩამონათვალი: 1. მშრალი საქონლის ხორცი შესუნებული 10კგ. 2. კეცის მჭადი 24 ცალი (4 ნაჭრიანი); 3. იმერული ხაჭაპური 40 ცალი (8 ნაჭრიანი); 4. ბაქლავა 60 ცალი; 5. მწვნილის ასორტი 4კგ. 6. ყველის ასორტი 7 კგ. 7. ქათამი (შემწვარი) 15 ცალი; 8. თევზი (კალმახი) შემწვარი - 10კგ. 9. მწვადი (შემწვარი) 25კგ. 10. ქაბაბი 50 ცალი 11. კიტრი პომიდორი 8 კგ. 12. ხორციანი ბლინები 100 ცალი; 13. სიმინდი მოხარშული 500 ტარო; 14. საწებელი 3 ლიტრი; 15. ხილი: ვაშლი 15კგ. 13კგ. მსხალი 13კგ. თხილი 13კგ. 16. ლავაში პური 50 ცალი; 17. სალფეთქი 10 შეკვრა; 18. მაჭახლური კერძი: ფხალობიო 6 ქოთან (2ლ). 19. ტოლმა 200ც; 20. კაიმალი 2ლ; 21. მოხარშული ხაპი 8 თავი; 22.

წყალი 10 ლიტრი (ერთ ლიტრიანები); 22. ღვინო 70 ლ. 23. არაყი 5 ლ. 24. ერთჯერადი კომპლექტი 500 კაცზე (ჭიქა, ჩანგალი, თეფში, კოვზი).

საქონლის მოწოდების და მომსახურების გაწევის ვადა: ღონისძიების ჩატარების თარიღია 2019 წლის 7 სექტემბერი, 1 დღე (სახალხო დღესასწაული შეიძლება გადატანილ იქნას ერთი დღით, 1 კვირით ადრე ან გვიან, ამინდის გათვალისწინებით). ღონისძიების დაწყებისა და დასრულების დრო: 12:00 სთ - 18:00 სთ. ღონისძიების ჩატარების ზუსტი თარიღი მიწოდებულ იქნება მიმწოდებლისთვის არაუგვიანეს 28 აგვისტოსა.

მოწოდების ადგილი: ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №25; სოფელი სინდიეთი.

ღონისძიება №2: მასწავლებელთა საერთაშორისო დღისა და კონფერენციის ორგანიზება

- 2.1 მოსაწვევის დამზადება - 12 ცალი, ზომა: 10სმ X 21სმ ფერადი, კონვერტით;
- 2.2 სიგელი ლამინირებული - 37 ცალი, ა4 ფორმატის, ფერადი. ტექსტი მოწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ;
- 2.3 მასწავლებელთა დღის საზეიმო ღონისძიებისათვის დარბაზის ქირავნობა და ვახშამი - 1 დღე, მენიუს ჩამონათვალი 230 კაცზე: იმერული ხაჭაპური, პიცა, აჩმა, ოსტრი, ჩქმერული, სოკო კეცში, ქაბაბი, თევზი, სულთანსკი, ოჯახური, სალათა 3 სახეობის, მწვადი, პური, მჭადი, კალბასის ასორტი, ხილის ასორტი, ნამცხვარი, საწებელი, წვენი, წყალი, ალკოჰოლური დასალევი. დარბაზში უნდა იყოს შესაბამისი მომსახურება, გახმოვანებისა და კულტურული პროგრამისათვის საჭირო ფართი, მდებარეობდეს ბათუმი-ახალციხის მაგისტრალზე. უნდა იყოს გათვლილი არანაკლებ 400 კაცზე. საკუთარი პარკინგი;
- 2.4 მასწავლებელთა დღის საზეიმო ღონისძიებისათვის სიმღერის ჩაწერა, ღონისძიების გახმოვანება - 1 დღე, ღონისძიებამდე 10 დღით ადრე უნდა განხორციელდეს არანაკლებ 12 სიმღერის ჩაწერა. ღონისძიების დღეს კი გახმოვანება.

საქონლის მოწოდების და მომსახურების გაწევის ვადა: ღონისძიების ჩატარების თარიღია 2019 წლის 5 ოქტომბერი, 1 დღე (ღონისძიება შეიძლება გადატანილ იქნას ერთი დღით, 1 კვირით ადრე ან გვიან). ღონისძიების დაწყებისა და დასრულების დრო: 12:00 სთ - 22:00 სთ. ღონისძიების ჩატარების ზუსტი თარიღი მიწოდებულ იქნება მიმწოდებლისთვის არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.

მოწოდების ადგილი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23; სარიტუალო დარბაზი.